2024 წლის ანგარიში

სსიპ კოლეჯში „ფაზისი“ (შემდგომში ,,კოლეჯი“) 2024 წლის საანგარიშო პერიოდში ფუნქციონირებდა სხვადასხვა მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, ასევე, მოკლევადიანი გადამზადების/მომზადების პროგრამის ფარგლებში ჯგუფები.

2024 წლის საანგარიშო პერიოდში კოლეჯში სწავლება მიმდინარეობდა შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ (დონე 5 (უმაღლესი));
- ,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ (დონე 5 (უმაღლესი));
- ,,სკოლამდელი აღზრდა“ (დონე 5 (უმაღლესი));
- ,,აგრომექანიზაცია“ (დონე 4 (საშუალო));
- ,,ფერმერი მემცენარე“ (დონე 4 (საშუალო));
- ,,მებაღეობა“ (დონე 4 (საშუალო));
- ,,ამწის ოპერირება“ (დონე 4 (საშუალო));
- ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (დონე 4 (საშუალო));
- ,,ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში“ (დონე 4 (საშუალო));
- ,,ფერმერობა მეთევზეობაში“ (დონე 4 (საშუალო));
- ,,თევზის გადამუშავება“ (დონე 4 (საშუალო));
- ,,საოფისე საქმე“ (დონე 4 (საშუალო));
- ,,სარესტორნო მომსახურება“ (დონე 4 (საშუალო));
- ,,სასტუმრო მომსახურება“ (დონე 4 (საშუალო));
- ,,ელექტროობა“ (დონე 3 (საბაზო));
- ,,შედუღება“ (დონე 3 (საბაზო));
- ,,მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება“ (დონე 3 (საბაზო));
- ,,თმის მომსახურება“ (დონე 3 (საბაზო));
- ,,ფლორისტიკა“ (დონე 3 (საბაზო));
- ,,სამკერვალო წარმოება“ (დონე 3 (საბაზო));
- ,,ინფორმაციის ტექნოლოგია“ (დონე 3 (საბაზო));
- ,,საფინანსო სერვისები“ (დონე 3 (საბაზო));
- ,,ხის მხატვრული დამუშავება“ (დონე 3 (საბაზო)).

სსიპ კოლეჯი "ფაზისი"
LEPL College " PHAZISI "

2024 წლის საანგარიშო პერიოდში კოლეჯში სწავლება მიმდინარეობდა არასაბიუჯეტო სექტორზე, შემდეგ პროფესიული მომზადების პროგრამებზე:

- ,,მძიმე ტექნიკის (ავტოგრეიდერი, ჰიდრავლიკური ექსკავატორი, სატვირთველი (ავტომტვირთველი, საკონტეინერო გადამტვირთველი მანქანა, ციცხვიანი მტვირთველი)) ოპერატორი“;
- ,,ჩამბმელი”;
- ,,ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება".

2024 წლის საანგარიშო პერიოდში კოლეჯში სწავლება მიმდინარეობდა შემდეგ პროფესიული მომზადების პროგრამებზე:

- ,,პირველადი დახმარება";
- ,,ხელით ელექტრორკალური შედუღება";
- ,,პირველადი გადაუდებელი დახმარება";
- ,,ქალის თმის შეჭრა-შეღებვა";
- ,,IT ტექნოლოგიები";
- ,,ელექტრული ტექნიკის მონტაჟი და ექსპლუატაცია".

2024 წლის საანგარიშო პერიოდში კოლეჯშისწავლება მიმდინარეობდა პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსების ,,ტანსაცმლის დიზაინი და კერვის ტექნიკა/ IT ტექნოლოგიები/თმის ვარცხნილობები“ ფარგლებში, სხვადასხვა პარტნიორ სკოლაში (სსიპ ქალაქ ფოთის №11 საჯარო სკოლა, სსიპ გიორგი ჭყონდიდელის სახელობის ქალაქ ფოთის №7 საჯარო სკოლა, სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალადიდის საჯარო სკოლა, სსიპ ქალაქ ხობის №1 საჯარო სკოლა, სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ხორგის საჯარო სკოლა, სსიპ თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის №7 საჯარო სკოლა).

LEPL College "PHAZISI"

2024 წლის საანგარიშო პერიოდში კოლეჯში სწავლება მიმდინარეობდა ,,დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ქვეპროგრამის" ფარგლებში შემდეგ პროფესიული მომზადების პროგრამებზე:

- ,,ქალის მსუბუქი ტანსაცმლის მოდელირება და კერვა";
- ,,სასტუმროს ფრონტ-ოფის მენეჯერი";
- ,,ძიძა-ბავშვის მოვლა".

კოლეჯში (ქალაქი ფოთი, ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევის ლოკაციაზე), 2024 წელს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა შერჩევის მიზნით შესარჩევმა კომისიებმა, მოტივაციური გასაუბრებისა და შემოქმედებითი ტურის ფორმით, განახორციელეს აპლიკანტთა შეფასება ობიექტურად, მიუკერძოებლად და გამჭვირვალედ.

ფოტო



ხობი,ნოჯოხევი.
წარმატებით ჩატარდა აპლიკანტთა მოტივაციური გასაუბრებები.

წარმატებით მიმდინარეობს შერჩევის პროცესი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.
წარმატებები აპლიკანტებს!

ასევე, პროფესიული მომზადების პროგრამების ფარგლებში მიმდინარეობდა გასაუბრებები მშვიდ ვითარებაში.

ფოტო

წარმატებით ჩატარდა აპლიკანტთა გასაუბრება პროფესიული მომზადების პროგრამის "ქალის თმის შეჭრა-შეღებვა" ფარგლებში.
წარმატებები მათ

LEPL College " PHAZISI "

აქვე, კოლეჯის ,,სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2026“ საფუძველზე, წარმოგიდგენთ 2024 წლის სამოქმედო გეგმაში ასახული აქტივობების შესრულების ანგარიშს

სტრატეგიული განვითარების გეგმა

კოლეჯის,,სტრატეგიული განვითარების გეგმის 2020-2026“ შესრულების კრიტერიუმებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით, განახორციელა შეხვედრა, როგორც კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს, ასევე კოლეჯის თანამშრომლებთან, დისტანციური ფორმით.

ფოტო



საშტატო სტრუქტურა

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „ფაზისის" წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N113/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ო" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო ნუსხა დამტკიცებულ იქნა.

კატალოგი

განახლდა და კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა განახლებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

http://phazisi.edu.ge/storage/2024/01/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98-2024-%E1%83%AC.pdf

ფოტო



განახლებული მარეგულირებელი დოკუმენტების დანერგვა

კოლეჯში პერიოდულად ხორციელდება შეხვედრები კოლეჯის თანამშრომელთა შორის, რომელსაც ხელმძღვანელობს კოლეჯის დირექტორი.

ფოტო

LEPL College " PHAZISI "

ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მშენებლობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - ,,ამწის ოპერირება", ,,ელექტროობა" და ,,კონდიტერი" ფარგლებში, მიმდინარეობდა სასწავლო სახელოსნოების მშენებლობა.

ასევე, ქალაქ ფოთის ადგილობრივ მერიის მიერ, შენობის მშენებლობის ნებართვის საფუძველზე, კოლეჯის ტერიტორიაზე დაწყებულ იქნა დამხმარე შენობის სამშენებლო სამუშაოები.

ფოტო



სამსახ. ბარათი 1037933 (30/08/2024)

ბარათი · კლონირება · საქმეებლადში გადატანა · რეესტრი

გან: სსიპ კოლეჯი "ფაზისი"

ბი: ტურავა სოფიო (მოადგილე) - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები / სსიპ კოლეჯი "ფაზისი"; (სულ 1)

ის: ინიციატორი - ტურავა სოფიო (მოადგილე)

ბი: ბაკურაძე ნინო (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი); ჭანტურია მარინა (საქმისმწარმოებელი); ოჩიგავა მურთაზ (იურისტი); მარშანია ინგა (ფინანსური მენეჯერ (სულ 6)

ბი: ბენქა ვაჭარამის ბრძანება.pdf

და: საკუთარი ვადა:

ემა: დამხმარე შენობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე

სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი" დირექტორს
ქალბატონ ნინო ბაკურაძეს

ამავე კოლეჯის დირექტორის მოადგილის
სოფიო ტურავას

სამსახურებრივი ბარათი

ქალბატონო ნინო,

მოგეხსენებათ, რომ კოლეჯმა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა კოლეჯის ტერიტორიაზე (კონსტიტუციის ქ. № 54-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ N 04.02.02.316)) დამხმარე შენობის მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე.

წარმოგიდგენთ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებას დამხმარე შენობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ. დანართის სახით.

ახალი პარტნიორი ორგანიზაციების მოძიება

პერიოდულად ხორციელდება მოდულური, ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, ახალი პარტნიორი ორგანიზაციების მოძიება, ხოლო არსებულ პარტნიორებთან ეწყობა რეგულარული შეხვედრები.

ფოტო

სკოლის მოსწავლეების ჩართვა კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკულ აქტივობებში

რეგულარულად ხორცილედება სკოლის მოსწავლეთა მოწვევა კოლეჯში, რათა ისინი ადგილზე გაეცნონ კოლეჯში მიმდინარე სასწავლო პროცესებს და ადგილზე მიიღონ მონაწილეობა პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკულ აქტივობებში.

ფოტო

პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში

კოლეჯი ორიენტირებულია კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის კუთხით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ამ მიზნით, ის მუდმივად აწვდის ინფორმაციას და რთავს პროფესიული განათლების მასწავლებლებს ტრენინგებსა და შეხვედრებში. ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, 2024 წლის საანგარიშო პერიოდში, უტარდებოდათ შესაბამისი ტრენინგები.

ფოტო

ჩვენი კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელმა გიორგი ხარგელიამ მონაწილეობა მიიღო სოფლის მეურნეობის დარგობრივი ქსელის მნიშვნელოვან სამდღიან შეხვედრაში, რომელსაც კოლეჯები "ჰორიზონტი" და "იბერია" მასპინძლობდნენ.

შეხვედრაზე განიხილეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ექსტენციის სამსახურების თანამშრომლობის პერსპექტივები.

სსიპ კოლეჯის "ფაბისი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "სარესტორნო მომსახურება" პროფესიული განათლების მასწავლებელმა ჯამბულ როყვამ წარმატებით გაიარა წესარჩევი ეტაპები განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და პროფესიული უნარების სააგენტოს ინიციატივით გამოცხადებულ კონკურსში საერთაშორისო სასწავლო ვიზიტში მონაწილეობისთვის, საპრიზო ადგილიც მოიპოვა და 12 დღის განმავლობაში იმყოფებოდა სტაჟირებაზე იტალიაში.

აღნიშნული ინიციატივის მიზანი გახლდათ, პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური და დარგობრივი კომპეტენციების გაძლიერება საერთაშორისო გამოცდილების მიღების გზით.

გვსურს გაგიზიაროთ სასიხარულო ამბავი! ჩვენი კოლეჯის სასტუმროს მომსახურების მიმართულების პროფესიული განათლების მასწავლებელმა, ნანა შომახიამ, წარმატებით გაიარა შესარჩევი კონკურსი და დაასრულა საერთაშორისო სასწავლო ვიზიტი თურქეთში!

არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება/განახლება

პერიოდულად, საჭიროების შესაბამისად, ხორცილედება კოლეჯში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება და განახლება. ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა, პროგრამის შესაბამისი მოდულის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, მიმართონ წერილობით შესაბამისი პროდუქციის შეძენის მიზნით.

ფოტო



m/mail/u/0/#search/კვარტლის+/QgrcJHsBnjQHLTNWPWCdgLBFfKnZQXIXbgq

კვარტლის

II კვარტლის მოთხოვნა

sofio turava <sturava86@gmail.com> პარ, 1 მარ. 2024, 10:55

ვის ingabidzinashvili, Nino, Nargiza, nino, ნინო, bajopochkhua, Marina

გამარჯობა,
გისურვებთ წარმატებულ და მშვიდობიან დღეს.

II კვარტლის მოთხოვნასთან დაკავშირებით აქედანვე დაიჭირეთ თადარიგი :)

აქვე, II კვარტალში განსახორციელებელი მოდულების შესახებ ინფორმაცია:
0411415 სახელმწიფო პიუკუტის მიმართ ვალდებულებები -14.05.2024 -ინგა ბიძინაშვილი;
0411409 ინვენტარიზაცია - 29.04.2024 - ნინო ქორჩილავა;
0411403 ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით - 13.05.2024 - ნარგიზა კუპრეიშვილი;
0411411 მმართველობითი აღრიცხვა -12.06.2024 - ნარგიზა კუპრეიშვილი;
0410705 Ms Excel - 29.04.2024 - ემზარი ფოფხუა;
0411402 ბიზნეს ინგლისური - 29.05.2024 - მარინა ქოიავა;

გთხოვთ, წარმოადგინეთ განაცხადები 10 მარტამდე, ეკერ მატერიალური სახით სამსწავლებლოში, რის შემდეგადაც აღნიშნულს გადმოაგზავნით ეფლოფს სამუალებით.

მადლობა,

პატივისცემით,



დოკუმენტები | სამსახ. ბარათი 664757 (14/06/2024) | სამსახ. ბარათი 793460 (03/07/2024)

ბეჭდვა | ბარათი | კლონირება | საქმიანობიდან გადატანა | რეესტრი

სათაურის ლოგო: სსიპ კოლეჯი "ფაზისი"
ავტორები: ტურავა სოფიო (მოადგილე) - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები / სსიპ კოლეჯი "ფაზისი"; (სულ 1)
ვის: ინიციატორი - ტურავა სოფიო (მოადგილე)
ადრესატები: ბაკურაძე ნინო (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი); ჯანტურია მარინა (საქმისწარმოებელი) (სულ 2)
ფაილები: ნორწეიგია მე-3 კვარტალი.pdf, ,.ბალდაკა მე-3 კვარტალი დანართი 1.pdf, ,.კაპანა 1.pdf, ,.რიდამბერ მორი მე-3 კვარტალი დანართი 2.pdf, ,.ქოიავა მე-3 კვარტალი დანართი 1.pdf, III კვარტალი - ხარი, სოდელი ნოდიბერეის ნაწილი.pdf, ,.კვარაცხელია - მე-3 კვარტალი.pdf, ,.ქოიავა მე-3 კვარტალი დანართი 2.pdf, ,.ბაბალიანა მე-3 კვარტალი.pdf, მორი რიდამბერ მე-3 კვარტალი.pdf, ,.მოსიავა მე-3 კვარტალი დანართი 2.pdf, ,.კაპანა 3.pdf, ,.ხიზეულავა მე-3 კვარტალი დამატებითი.pdf, ,.პერტაია - მე-3 კვარტალი.pdf, ,.ვადარია მე-3 კვარტალი.pdf, ,.ლიროლიმეილი მე-3 კვარტალი.pdf, ,.სარიანია - მე-3 კვარტალი.pdf, ,.ბაგია მე-3 კვარტალი დანართი 2.pdf, ,.სილაგავა მე-3 კვარტალი.pdf, ,.კაპანა 2.pdf, ,.ხიზეულავა მე-3 კვარტალი 1.pdf, ,.პაატარია მე-3 კვარტალი.pdf, ,.ბაგია მე-3 კვარტალი დანართი 5.pdf, ,.ფოლხია ბორის მე-3 კვარტალი.pdf, ,.ჯაფარა მე-3 კვარტალი.pdf, ნაცვლიმეილი მე-3 კვარტალი.pdf, ,.ბაგია მე-3 კვარტალი დანართი 1.pdf, ,.მოსიავა მე-3 კვარტალი დანართი 1.pdf, ,.კაპანა 4.pdf, ,.ზიბაია მე-3 კვარტალი.pdf, ,.ბაგია მე-3 კვარტალი დანართი 4.pdf, ,.ქორჩილავა მე-3 კვარტალი.pdf, ,.კუპრეიშვილი მე-3 კვარტალი.pdf, ,.სილაგავა ლიანა მე-3 კვარტალი.pdf, ,.ბაგია მე-3 კვარტალი დანართი 3.pdf, ,.ბალდაკა მე-3 კვარტალი დანართი 2.pdf
ვადა: საკუთარი ვადა:
თემა: ინფორმაცია მატერიალური რესურსების შესახებ (III კვარტალი)

სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი" დირექტორს
ქალბატონ ნინო ბაკურაძეს

ამავე კოლეჯის დირექტორის მოადგილის
სოფიო ტურავას

სამსახურებრივი ბარათი

ქალბატონო ნინო,

გიგზავნით, სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მატერიალური რესურსის მოთხოვნის შესახებ განაცხადებს (2024 წლის მე-3 კვარტალი):

თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე ურთიერთდასწრება

კოლეჯში, პროფესიული განათლების პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოცდილების გაზიარების მიზნით, პერიოდულად ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებელთა შეხვედრები და დასწრებები სასწავლო პროცესზე.

ფოტო

პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის "ბუღალტრული აღრიცხვა" პროფესიულმა სტუდენტებმა ნარმატებით გაართვეს თავი მოდულის "საგადასახადო დეკლარირება" შედეგს.

შიდა ვერიფიკაცია

ვერიფიკაცია კოლეჯში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილი მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმია (შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი). კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით:

- შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ვერიფიკაციის განხორციელების მიზნით, კოლეჯში, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე შეიქმნა ვერიფიკაციის ჯგუფი.

კოლეჯის ვებ-გვერდი და სოციალური ქსელები

კოლეჯში მუდმივად ახლდება კოლეჯის ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი. სოციალურ სივრცეში აქტიურად თავსდება მიმდინარე პროცესების თაობაზე ინფორმაციები.

ფოტო





კოლეჯის დასაქმებულ კურსდამთავრებულთა მოწვევა

კოლეჯის წარმატებული და უკვე დასაქმებული კურსდამთავრებულები პერიოდულად სტუმრობენ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს და მათ უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას.

ფოტო









საპროფორიენტაციო სამუშაოები სკოლებში

საპროფორიენტაციო შეხვედრის ფარგლებში, აქტიურად მიმდინარეობს საჯარო სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრები. აღნიშნული შეხვედრების დროს, საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია კოლეჯში განხორციელებადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მიმდინარე სასწავლო პროცესისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. მოსწავლეებს ურიგდებათ საინფორმაციო ბუკლეტები.

ფოტო

სსიპ კოლეჯი "ფაზისი"
LEPL College " PHAZISI "

სარეკლამო ბუკლეტების, ფლაერებისა და სხვა საინფორმაციო მასალის გავრცელება

მომზადდა და დაიბეჭდა ახალი ბუკლეტები, არსებული და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე.

ფოტო

სსიპ კოლეჯი "ფაზისი"
LEPL College " PHAZISI "

სსსმ და შშმ პირთა მოზიდვა

კოლეჯი ორიენტირებულია საუკეთესო პროფესიული განათლებისთვის. ის უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურებას, შესაბამისად, უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობას დაინტერესებული მხარისთვის. კოლეჯში ინტენსიურად ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები.

ფოტო

სსიპ კოლეჯი "ფაზისი"

პროგრამათა რეკლამები

სხვადასხვა მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, ასევე პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზდების პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით, კოლეჯი ინტენსიურად აორგანიზებს რეკლამების/ვიდეორგოლების განთავსებას სოციალურ მედიაში.

ფოტო



ზოსის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოკიბევი

ხანგრძლივობა – 3 კვირა

სრულად დინანსდება სახელმწიფოს მიერ

კურსის დასრულების შემდეგ,თქვენ შეძლებთ პირველადი დახმარების მნიშვნელობისა და არსის განსაზღვრა. კრიტიკული მდგომარეობების იდენტიფიცირება და გულსისხლძარღვთა და სუნთქვის მოშლილობით მიმდინარე მდგომარეობების, ტრავმებისა და სისხლდენების დროს პირველადი გადაუდებელი დახმარება. კრიტიკული მდგომარეობისას საკუთარი თავის მართვა.

ონლაინ რეგისტრაციისთვის მიჰყვეთ სმენს : https://vet.emis.ge/#/

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ პირად შეეყოსინტერვიუში ან დაგვიკავშირდით : 557 91 75 25

სსიპ კოლეჯი "ფაზისი"
LEPL College " PHAZISI "

26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდა კოლეჯი.

ფოტო

სსიპ კოლეჯი "ფაზისი"
LEPL College " PHAZISI "

26 მაისის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, გაიმართა ქალაქის საგანმანათლებლო დაწესებულებების 2023-2024 სასწავლო წლის წარჩინებულ კურსდამთავრებულთა საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალი. წარმატებულ კურსდამთავრებულთა შორის, დაჯილდოვდა ჩვენი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ პროფესიული სტუდენტი სალომე გოგუაძე, რომელსაც გადაეცა წამახალისებელი ჯილდო.

ფოტო

სსიპ კოლეჯი “ფაზისი”
LEPL College “ PHAZISI ”

პროფესიული სტუდენტების ჩართულობა

კოლეჯის პროფესიული სტუდენტები მუდმივად ერთვებიან სხვადასხვა სახის ღონისძიებებში.

პროფესიული უნარების სააგენტოსთან თანამშრომლობით Erasmus+ პროექტის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიული სტუდენტების პროფესიულ განვითარებას, პრაქტიკული უნარების გაუმჯობესებას სტუმარ-მასპინძლობის სფეროში და კავშირების დამყარებას საერთაშორისო გარემოში, კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სასტუმრო მომსახურება" პროფესიული სტუდენტი იმყოფებოდა უნგრეთში, ქ. ბუდაპეშტში.

ფოტო

გაიცანით თინა – ჩვენი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება" პროფესიული სტუდენტი!

თინა ამჟამად სტაჟირებას გადის უნგრეთში, ბუდაპეშტში , პროფესიული უნარების სააგენტოსა და ERASMUS+ პროგრამის ფარგლებში.

"ეს გამოცდილება ჩემი კარიერის ტრამპლინია" – გვიზიარებს თინა, – "აქ ვსწავლობ არა მხოლოდ სასტუმრო

სასკოლო სპორტულ ოლიმპიადის ფერგლებში, მინი ფეხბურთში მონაწილეობა მიიღო კოლეჯის გუნდმა, რომელიც დაკომპლექტებული იყო სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებით. მათ მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებას და ფოთის მასშტაბით, კოლეჯის გუნდი მეორე ადგილოსანი გახდა.

ფოტო

დღეს ჩვენთვის ისტორიული დღე იყო – კოლეჯმა „ფაბისი“ პირველად მიიღო მონაწილეობა სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში მინი ფეხბურთში და მეორე ადგილი დაიკავა!

ეს მიღწევა არის ჩვენი პიჭების დაუღალავი შრომის, მონდომების და ერთიანობის შედეგი. მათ დაამტკიცეს, რომ გუნდის სული, მიზნისკენ სწრაფვა და დაუღალავი შრომა ყოველთვის წარმატებას იძლევა.

ეს შედეგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ეს იყო ჩვენი პირველი ნაბიჯი სპორტულ ასპარეზზე. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი გუნდის თითოეული წევრით, რომლებმაც თავიანთი თამაშით, ძალისხმევითა და მოტივაციით მთელი კოლეჯის სახელი აამაღლეს.

გულითადი მადლობა პიჭებს, რომლებიც შთაგონებად იქცნენ ყველა ჩვენგანისთვის .

წინ, ფაბისის ფორვარდებო.

საფეხბურთო გუნდს, რომელმაც სასკოლო ოლიმპიადაზე მეორე ადგილი დაიკავა, კოლეჯში მოუწყვეს საზეიმო დახვედრა.

ფოტო

"ფაზისის ფორვარდები"-ს დახვედრა კოლეჯში

სსიპ კოლეჯი "ფაზისი"
LEPL College " PHAZISI "

კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლის მაკა ვაშაკიძის ინიციატივით განხორციელდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს და კოლეჯის თანამშრომლეთა შორის წიგნის ჩუქება. აღნიშნულმა ღონისძიებამ ხელი შეუწყო პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობას პროფესიული მიმართულებით. მათ განაცხადეს, რომ აუცილებელია მსგავსი პროექტების გაგრძელება.

ფოტო



მარინისტრულ ფესტივალში კოლეჯი აქტიურად ჩაერთო და დამსწრე საზოგადოების წინაშე საინტერესოდ წარდგა. აღსანიშნავია, რომ კოლეჯისთვის განკუთვნილ ადგილს, სადაც გამოფენილი იყო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ნამუშევრები, ასევე, კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ჩაატარეს მასტერ კლასი, გამოიწვია დიდი ინტერესი და ყურადღება.

ფოტო

ქ. ფოთის მინიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზში გამოფენილი იყო პროფესიულ სტუდენტთა ნამუშევრები, რომლებმაც

ფოტო

🌿 დღეს საბეიმო ვითარებაში დაიხურა ჩვენი კოლეჯის პროფესიული განათლების სტუდენტების ნამუშევრების გამოფენა, რომელიც მდებარეობდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზში.

🔹 მადლობა მოშვეულ სტუმრებს.

მადლობა ყველას ვინც მონაწილეობდა დღევანდელი დღის ორგანიზებაში.

პროექტი ჯგუფურად წარადგინეს პროფესიულმა სტუდენტებმა – ნინო ღლონტმა, ლუკა ჯიქიამ, რომა ადამიამ და მაგდა კოკაიამ.

პროექტი ბავშვთა უფლებების დაცვას და ბავშვთა უფლებების კონვენციას ეხება.

პროექტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "სკოლამდელი აღზრდა" პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერით განხორციელდება!

ვულოცავთ ჩვენს "ფაბისელებს" ღირსეულ გამარჯვებას! წარმატებები ახალგაზრდებო!

,,ფანისელები" აქტიურად გამოეხმაურნენ ქართული ენის კვირეულს.

რამდენიმე ინტეგრირებული ჯგუფი გაერთიანდა (მოდული – კომუნიკაცია ქართულ ენაზე, მასწავლებელი მაკა ვაშაკიძე) და კოლეჯის ბიბლიოთეკაში წარმოადგინეს საინტერესო პრეზენტაცია თემაზე "ვილაპარაკოთ, ვილაპარაკოთ მხოლოდ ქართულად!"

წაიკითხეს ქართული ენისადმი მიძღვნილი ლექსები, კიდევ ერთხელ სათუთად მოეფერნენ ჩვენს უნიკალურ ქართულ ანბანს, ააგეს ანბანის კედელი, წარმოადგინეს პოსტერები, საინტერესო აქტივობა, სადაც დაგმეს ბარბარიზმები და მასპინძლები სტუმრებთან ერთად წეთანხმდნენ: "ვილაპარაკოთ, ვილაპარაკოთ, მხოლოდ ქართულად!"

22 აპრილს ჩატარდა გასაღლითი ვიზიტი შოდულების "თევზის საარსებო გარემოს ოპტიმიზაცია", "თევზისა და ხეების პროდუქტების მიღება და პირველადი დამუშავება" (პროფ. მახნაველიძელი ნაირა ნადარაია) "თევზიდან და ხეების პროდუქტებიდან, თევზის ბაკვებიდან და თევზის საარსებო გარემოდან ნიმუშის აღება" (პროფ. მახნაველიძელი ირაბა გოჩოლეიშვილი) პრაქტიკული ნაწილის ფარგლებში გეკეთში, ინდ. მეწარეც ამესალიან ჭალალონიან თევზის საინკუბაციო მეურნეობაში.

საწარმოო პრაქტიკის პროცესში მონაწილეობდნენ სხვა კოლეგები "ფაზისი" "ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში"(პროგრამის ხელმძღვანელი ნათელა ლაშხია) და "თევზის გადამუშავება"(პროგრამის ხელმძღვანელი ნაირა ნადარაია) პროგრამების პროფესიული სტუდენტები.

მათ წარმატებით შეასრულეს შემდეგი აქტივობები: განახორციელეს ნელის ნიმუშების აღება ტბორებიდან, მოამზადეს ყოფილი თევზი ტრანსპორტირებისათვის, ამოიღეს ტბორიდან ხეადასხვა სახეობის თევზები, მოახდინეს მათი გადასმა შეხაბამის ტბორებში შემდეგი საინკუბაციო პროცესებისთვის.

ასევე, სტუდენტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სოფლის მეურნეობის საბინისტროს საკვლევი ცენტრის თანამშრომლების (რუსუდან მარკალაია, ელდარ კაშია) მიერ განხორციელებული ეობრის ახალი მიმართული ჯიშის "ფარიონი" მონიტორინგისა და ეფექტურობული მონაცემების შეფასების პროცესში.

სხვან კოლეჯში "ფაზისი" მონაწილეობა მიიღო პროფესიული განათლების საერთაშორისო კვირეულში, რომელიც 22-23 ოქტომბერს სხვან ილია წინაამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში ჩატარდა.

ღონისძიება გახსნეს განათლების მინისტრმა ალექსანდრე წულაძემ, პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პაია კვიციანმა და პროფესიული უნარების საგენტოს გენერალურმა დირექტორმა ირინე მარგიშვილმა.

კვირეულში მონაწილეობა მიიღეს პროფესიული განათლების წარმომადგენლებმა 10 ქვეყნიდან – ესპანეთი, ლიეტუვა, გერმანია, ესტონეთი, ლატვია, უნგრეთი, პოლონეთი, საბერძნეთი, თურქეთი და ჩინეთი.

პროგრამის ფარგლებში ჩატარდა: პრეზენტაციები, ეთრეშოპები, პანელური დისკუსიები, მოეწყო საგამოფენო სივრცე.

ღონისძიების მიზანია ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციასა და საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "თმის მომსახურება " პროფესიული განათლების მასწავლებლის სოფიო მოსიავას ინიციატივით JFGeorgia ის წარმომადგენელის მიშა ნუნუშიანის მიერ კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისთვის ჩატარდა მასტერკლასი თემაზე " თმის შეღებვა, თმის გაღიავება, თმის მელირება, თმის გამაღიავებელი პროცედურა".

2024 წელს კოლეჯმა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ჯილდოზე, როგორც წლის საუკეთესო მასწავლებელი, წარადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფლორისტიკა“ პროფესიული განათლების მასწავლებელი მაია გაბელია.

პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებულობა

კოლეჯში პროფესიული სტუდენტებისათვის გაიმართა შეხვედრა თემაზე ,,პროფესიული სტუდენტების უფლება-მოვალეობანი". აღნიშნულზე, პროფესიულ სტუდენტებს, კოლეჯის დირექტორის მოადგილემ და კოლეჯის იურისტმა დეტალურად გააცნეს მიმდინარე და გარდამავალი საკანონმდებლო ნორმატიული აქტები, რომლებიც უშუალო კავშირშია პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობასთან. შეხვედრა წარიმართა ინტერაქტიულ რეჟიმში.

პროფესიულ სტუდენტებს შეხვდნენ დირექტორის მოადგილე და კოლეჯის იურისტი.

შეხვედრის მთავარი მიზანი იყო სტუდენტების ინფორმირება მათი უფლებების შესახებ.

განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

- სტუდენტთა აკადემიური უფლებები და მოვალეობები.
- სასწავლო პროცესთან დაკავშირებული რეგულაციები.
- საჩივრებისა და წინადადებების წარდგენის პროცედურები.

დირექტორის მოადგილემ ხაზი გაუსვა კოლეჯის მზადყოფნას, მხარი დაუჭიროს სტუდენტებს მათი აკადემიური მიზნების მიღწევაში.

ვიზიტორები კოლეჯში

კოლეჯს სტუმრობდნენ ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც თანამშრომლობის გაგრძელების მიზნით, კოლეჯთან დებდნენ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს და რომელიც ითვალისწინებს ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებას, კოლეჯის პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ჩართულობით.

ფოტო

Eberhard-Schöck-Stiftung ფონდის წარმომადგენლის, დავიდ იუნგჰანსის მორიგი ვიზიტის ფარგლებში, კოლეჯში ჩატარდა ტრენინგი "უსაფრთხოება სადურგლოს მიმართულებით და კალკულაცია" , რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ხის მხატვრული დამუშავება" პროფესიული განათლების მასწავლებლებმა და სტუდენტებმა, მათთან ერთად ამ პროცესში ჩართულები იყვნენ „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" სტუდენტები.

ტრენინგის მსვლელობაში დამზადდა შაბლონები და დანადგარებისთვის დამცავი დეტალები, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული უნარების გაღრმავებას და უსაფრთხოების გაუმჯობესებას.

განსაკუთრებული მადლობა ებერჰარდ შიოკის ფონდს და მის წარმომადგენელს, დავიდ იუნგჰანსს, მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის!

ფოტო

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში, ჩაატარა მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერების ტრენინგები.

ტრენინგის ფარგლებში, პროფესიული განათლების მასწავლებლებს მიეწოდათ მნიშვნელოვანი ინფორმაცია და გამოცდილება ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროცესების გაუმჯობესებასა და განვითარებას.

მადლობა მონაწილეებს აქტიური ჩართულობისთვის და პროგრამის ორგანიზატორებს ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელებისთვის!

🌐 გლობალური კამპანიის Go Green ფარგლებში, APM Terminals Poti • ეიპიემ ტერმინალს ფოთი კოლეჯს საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასცა პერსონალური კომპიუტერები.

მადლობა მხარდაჭერისთვის!🤝

აქტიურად მიმდინარეობს სწავლება ტრენინგ-კურსზე

"მზის ელექტროსადგურების პროექტირება, მონტაჟი და ექსპლუატაცია".

პროექტის პარტნიორებია Eberhard-Schöck-Stiftung, Euro Solar Georgia, UNDP.

პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელება

კოლეჯში, პროფესიული მომზადების პროგრამათა ფარგლებში, ინტენსიურად ხორციელდება მსმენელთა მომზადება. მოქალაქეთა დაინტერესება დიდია პროფესიული მომზადების პროგრამებთან დაკავშირებით.

ფოტო

წარმატებით დაასრულა პროფესიული მომზადების პროგრამა "პირველადი დახმარება"კიდევ ერთმა ჯგუფმა.

თითოეულ მსმენელს შეუძლია ამაყად თქვას, რომ უკვე ფლობს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან უნარებს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში სხვების დასახმარებლად გამოადგება.

ვულოცავთ ჩვენს კურსდამთავრებულებს ამ მნიშვნელოვან მიღწევას და წარმატებებს ვუსურვებთ სამომავლო საქმიანობაში!

ფოტო

წარმატებით მიმდინარეობს სასწავლო პროცესი ხობი,ნოჯიხევის ლოკაციაზე
პროფესიული მომზადების პროგრამაზე "პირველადი დახმარება".

უსაფრთხოების მიმართულება

კოლეჯში, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში პერიოდულად ტარდება შესაბამისი ინსტრუქტაჟები, ასევე, ტარდება შესაბამისი ინსტრუქტაჟები. აღნიშნულ პროცესში ერთვებიან როგორც კოლეჯის თანამშრომლები, ასევე, პროფესიული სტუდენტები და მსმენელები.

ფოტო

დღეს სსიპ კოლეჯში "ფაზისი", პროფესიული განათლების მასნავლებლებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისათვის შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის ნესებში ჩატარდა მორიგი ინსტრუქტაჟი.

ფოტო

🔰 პროფესიული ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამის "სასტუმროს მომსახურება " სტუდენტებს "სასტუმროში უსაფრთხოების უზრუნველყოფა" მოდულის ფარგლებში ჩაუტარდათ ცეცხლმაქრის მოხმარების ინსტრუქტაჟი.

LEPL College " PHAZISI "

ფოტო

🌿 დღეს სსიპ კოლეჯში "ფაზისი", ხობი/ნოჯიხევის განყოფილებაში, პროფესიული განათლების მასნავლებლებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისათვის შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესებში ჩატარდა მორიგი ინსტრუქტაჟი.

სსიპ კოლეჯმა ,,ფაზისი“ ხარისხის მენეჯმენტის სისტემის საკონტროლო აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001 : 2015 მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის შეფასებისა და ანალიზის შედეგად, განაახლა საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001 : 2015 სერტიფიკატი.

პატივისცემით,

სოფიო ტურავა

სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“
დირექტორის მოადგილე

სსიპ კოლეჯი “ფაზისი”
LEPL College “ PHAZISI ”